მე-80 წუთზე _ ლ. ნოდიამ...

თბილისი. “ლოკომოტივის” სტადიონი. 9 მაისი.

“დინამო” (თბილისი) _ “ლოკომოტივი” (თბილისი) _ 1:0 (0:0).

“დინამო” სტეფანია, კანთელაძე, რეხვიაშვილი, ჭელიძე, ხინჩიგაშვილი, პეტრიაშვილი, ილიადი, მაჩაიძე, მჭედლიშვილი, გავაშელი, ლ. ნოდია.

“ლოკომოტივი”: ბერიძე, გოგიჯანაშვილი (მირიანაშვილი), პანოვი, ქელეხიძე, შხვაცაბაია, ძაგანია, ჭოლაძე, ბახტაძე (ყიფიანი), საფაროვი, ხუციშვილი, ჭელიძე.

მსაჯი: ი. ბოჭორაძე (თბილისი).

სიახლე, რომელიც სსრ კავშირის თასის წლევანდელი გათამაშების მეთექვსმეტედ და მერვედფინალში შემოიღეს, ნამდვილად მისასალმებელია. მხედველობაში გვაქვს ამ ეტაპებზე გუნდებს შორის 2 შეხვედრა. ეს, რა თქმა უნდა, გამორიცხავს შემთხვევითობას და თასის შემდგომ ეტაპზე ბრძოლის შესაძლებლობას უქმნის ნამდვილად უძლიერესს.

... ამ მატჩში მონაწილეთა თამაშის კლასი, რა თქმა უნდა, განსხვავებულია, მაგრამ მხედველობაში ისიცაა მისაღები, რომ დინამოელთა რიგებში 6 ძირითადი მოთამაშე არ იყო, რკინიგზელებს კი ამასწინანდელი მარცხიანი ტურნეს შემდეგ რამდენადმე უნდა აღედგინათ შელახული ავტორიტეტი.

მატჩი დუნედ დაიწყო. მეტოქენი ძირითადად სუსტი ადგილების მოსინჯვას მოუნდნენ და კარს არც დამუქრებიან. მხოლოდ მე-12 წუთზე შეიქმნა რკინიგზელთა კართან საფრთხე, როცა მჭედლიშვილი კარგად გავიდა მარჯვენა ფრთაზე და ცენტრში ჩააწოდა ბურთი, მაგრამ დინამოელთაგან იქ არავინ აღმოჩნდა. ტაიმის ბოლომდე დინამოელებმა კიდევ რამდენიმე საგოლე მომენტი შექმნეს, მაგრამ გადამწყვეტი დარტყმები უზუსტო იყო. 44-ე წუთზე კი ლ. ნოდიას ძლიერად დარტყმული ბურთი ძელმა “მოიგერია”.

შესვენების შემდეგ თამაში უფრო საინტერესოდ წარიმართა. მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელი 15 წუთი გამუდმებით წვიმდა, გუნდებმა მაღალი ტემპი თამაშის ბოლომდე შეინარჩუნეს. მატჩის ბედი გადაწყდა მე-8 წუთზე, როცა ლ. ნოდიამ ისარგებლა რკინიგზელთა მცველების შეუთანხმებელი მოქმედებით და ახლოდან გაიტანა გოლი.

ამ გუნდების განმეორებითი შეხვედრა შედგება 13 მაისს.

ა. ცეხანელი.
“ლელო”, 12 მაისი, 1970 წ.